



Programme

September 05 22:00

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი წარმოგიდგენთ...

„მელოტი მომღერალი ქალი“

ეჟენ იონესკო

გადმოაქართულა - ზურაბ გენაძემ

რეჟისორი - ზურაბ გენაძე

მხატვრები - ნინო ქორიძე, სოფო მარიამ ქორიძე

მუსიკალური გაფორმება - ზურაბ გენაძე

**მონაწილეობენ: ნანა შონია, თემო ნატროშვილი,
ვანო თარხნიშვილი, მაია გელოვანი, გიორგი
ნაკაშიძე, ნანუკა ლითანიშვილი**

**სპექტაკლის ხანგრძლივობა 1 საათი და 20 წუთი
/ერთ მოქმედებად/**

Tumanishvili Film Actors Theatre presents

“The Bald Soprano“ by Eugene Ionesco

Adapted into Georgian by - Zurab Getsadze

Director - Zurab Getsadze

Set Designers - Nino Koridze, Sopho Mariam

Koridze

Musical Arrangement - Zurab Getsadze

Cast: Nana Shonia, Temo Natroshvili, Vano

Tarkhnishvili, Maia Gelovani, Giorgi Nakashidze,

Nanuka Litanishvili

Duration of the performance: 1 hour and 20 minutes

(In one act)

ეჟენ იონესკო

მელოტი მომღერალი ქალი

„მელოტი მომღერალი ქალი“ პიესაა, რომლის ავტორი რუმინული წარმოშობის ფრანგი დრამატურგი ეჟენ იონესკოა. მისი პრემიერა შედგა 1950 წლის 11 მაისს პარიზში, „დამის მოხეტიალეთა თეატრში“. პიესა მიიჩნევა „აბსურდის თეატრის“ საეტაპო მნიშვნელობის ნიმუშად. მე-20 საუკუნის შუაში ევროპულ დრამატურგიაში დაბადებული მიმდინარეობა ფოკუსირებას ადამიანის არსებობის ალოგიკურ და აზრსმოკლებულ ასპექტებზე ახდენს. ერთი შეხედვით აზრსმოკლებულია იონესკოს პიესის სათაურიც და თავად პიესის შინაარსიც.

პიესა იწყება ტიპურ ინგლისურ საშუალო კლასის მაცხოვრებელთა მისაღებ ოთახში, ცოლ-ქმრის - მისტერ და მისის სმიტების საუბრით. მათი დიალოგი ბანალური და უაზრო წინადადებების გაცვლების სერიაა, სავსე კლიშეებითა და არათანმიმდევრული გამონათქვამებით. მალე მათ უერთდება კიდევ ერთი წყვილი, მარტინები, რომლებიც, გარკვეული დაბნეულობის შემდეგ, აცნობიერებენ, რომ ერთმანეთზე არიან დაქორწინებულნი. ჩნდება მეხანძრე, თითქოს ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ ამის ნაცვლად ის იწყებს აბსურდული ამბების მოყოლას. მოქმედებაში ერთვება მოსამსახურე მერიც და თავის უცნაურ ისტორიებს გვთავაზობს. პიესის დასასრულს პერსონაჟები უაზროდ უყვირიან ერთმანეთს, მათი დიალოგი იძლება და გაუგებარი ბგერების სერიად იქცევა.

„მელოტი მომღერალი ქალი“ ადამიანთა შორის კომუნიკაციის ამაოების თემას ეძღვნება. პერსონაჟები საუბრობენ კლიშეებითა და ცარიელი ფრაზებით, რისი შედეგიც აზრიანი დიალოგის ჩამოშლას. იონესკო ენას წარმოგვიჩენს როგორც ბარიერს და არა ხიდს, რითაც ხაზს უსვამს სოციალური კონვენციების აბსურდულობას და თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდების იზოლაციას. პიესა ასევე დასცინის ბურჟუაზიული არსებობის სიცარიელეს. სმიტები და მარტინები, თავიანთი თავაზიანი, მაგრამ უაზრო საუბრებით, საშუალო კლასის ცხოვრების ზედაპირულობის ნათელი ნიმუშია. იონესკო დასცინის მათ რუტინასა და პრეტენზიებს, ავლენს რა მათი არსებობის საფუძველში არსებულ აბსურდულობას.

პიესის სტრუქტურა წრიულია. ის იწყება და მთავრდება ერთი და იმავე სცენით, რაც პერსონაჟების ცხოვრების ციკლურ ბუნებასა და მათი აბსურდული არსებობიდან თავის დაღწევის შეუძლებლობაზე მიანიშნებს. ეს განმეორება აძლიერებს მონოტონურობის თემას და უაზრო სამყაროში აზრის ძიების ამაოებას უსვამს ხაზს.

„მელოტი მომღერალი ქალი“ თანამედროვე თეატრის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. მან ექვქვეშ დააყენა სიუჟეტის, პერსონაჟისა და დიალოგის ტრადიციული გაგება და გზა გაუკვალა „აბსურდის თეატრის“ შემდგომ წარმომადგენლებს. იონესკოს მიერ ენისა და სტრუქტურის ინოვაციურმა გამოყენებამ გავლენა არაერთ დრამატურგზე მოახდინა და პიესა დღესაც რეზონირებს თანამედროვე აუდიტორიასთან. მასში შედის ქართული მაყურებელიც - ეჟენ იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალი“ 2007 წლიდან თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარშია.

Eugene Ionesco

The Bald Soprano

"The Bald Soprano" is a play written by Romanian-French playwright Eugene Ionesco. It premiered on 11 May 1950 at the Théâtre des Noctambules, Paris and is often regarded as a seminal work in the Theatre of the Absurd, a movement that emerged in the mid-20th century, characterized by its focus on the illogical and meaningless aspects of human existence. The play's original French title, "La Cantatrice Chauve," literally translates to "The Bald Singer," which is deliberately nonsensical, much like the play itself. The play opens in a typically middle-class English living room, where Mr. and Mrs. Smith are conversing. Their dialogue is a series of banal and nonsensical exchanges, filled with clichés and non-sequiturs. They are soon joined by another couple, the Martins, who, after some confusion, realize they are married to each other. The Fire Chief arrives, ostensibly to put out a fire, but instead tells a series of absurd stories. The maid, Mary, also interjects with her own bizarre anecdotes. The play concludes with the characters shouting nonsensically at each other, their dialogue disintegrating into a series of incoherent sounds.

At its core, "The Bald Soprano" explores the futility of human communication. The characters speak in clichés and empty phrases, highlighting the breakdown of meaningful dialogue. Ionesco portrays language as a barrier rather than a bridge, emphasizing the absurdity of social conventions and the isolation of individuals in modern society. The play satirizes the emptiness of bourgeois existence. The Smiths and Martins, with their polite but meaningless conversations, represent the superficiality of middle-class life. Ionesco mocks their routines and pretensions, revealing the underlying absurdity of their existence.

The play's structure is deliberately circular. It begins and ends with the same scene, suggesting the cyclical nature of the characters' lives and the inescapability of their absurd existence. This repetition reinforces the theme of monotony and the futility of seeking meaning in a senseless world.

"The Bald Soprano" is a landmark in modern theatre. It challenged traditional notions of plot, character, and dialogue, paving the way for future works in the Theatre of the Absurd. Ionesco's innovative use of language and structure has influenced countless playwrights and continues to resonate with contemporary audiences, including Georgian ones. Eugène Ionesco's "The Bald Soprano" has been part of the repertoire of the Tumanishvili Film Actors Theatre since 2007.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

Programme Notes

by Nino Jvania



TSINANDALI FESTIVAL

Aug 31 2024

6TH EDITION Sep 8